ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2013 წლის 13 აგვისტო

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება "ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №16 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 14/06/2013, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.139.016089) და დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

"მუხლი 5

შემოღებულ იქნეს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და დადგინდეს მისი განაკვეთები სახეობების მიხედვით:

1. თითოეულ სამორინე მაგიდაზე კვარტალში - ქ. ბორჯომში 15000 ლარი, დაბა ბაკურიანში 18000 ლარი;

2. თითოეულ სათამაშო აპარატზე კვარტალში - ქ. ბორჯომში 1500 ლარი, დაბა ბაკურიანში 2000 ლარი;

3. თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - ქ. ბორჯომში, საპრიზო ფონდის 5%, დაბა ბაკურიანში 10 %;

4. სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე კვარტალში - ქ. ბორჯომში 30000 ლარი, დაბა ბაკურიანში 45000 ლარი;

5. ლატარიების მოწყობაზე - ქ. ბორჯომში ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 10%, დაბა ბაკურიანში 15%;

6. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული სისტემურ-ელეტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე კვარტალში - ქ. ბორჯომში 5000 ლარი, დაბა ბაკურიანში 7500 ლარი;

7. თითოეულ კლუბის მაგიდაზე კვარტალში - ქ. ბორჯომში 5000 ლარი, დაბა ბაკურიანში 7500 ლარი (თუ კლუბის მაგიდა მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის გამოიყენება მეპატრონე უფლებამოსილია არ გადაიხადოს მოსაკრებელი)."

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ბესიკ ქურდაძე